გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## სასწავლებელი და პანსიონი
## სპ. ზ. ჯორჯიკიასი.
(ქუთაისი)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თთვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ჰმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—10)

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა საყოველთაოდ** აცხადებს, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მიერ ნებადართვით, ამ სასწავლებლის შენობის დაუმთავრებლობისა გამო, მისაღები ეგზამენები დაიწყება 6 ენკენისთთვეს და სწავლა-კი 10-ს; ამიტომ მოწაფენი უნდა გამოცხადდნენ: ვისაც ხელ-ახლა ეგზამენი აქვს, ან ვისაც ჰსურს ახლად შემოსვლა ამ სასწავლებელში 6-ს ენკენისთთვეს, ხოლო დანარჩენნი—10-ს. (3—107—1)

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად** უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება.

თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—3)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.


## ახალი ამბავი

*** შორეულ კუთხეებიდამაც დიდი ხანია მოგვდის ამბები, რომ ჩვენის საყვარელის პოეტის თავ. მამია გურიელის უდროოდ გარდაცვალებას იქაც მწუხარება მოუფენია ყველასათვის და პოეტის სახელის მოსახსენებლად პანაშვიდს იხდიან ყველგან. სხვათა შორის სოფ. ქვემო-მაჩხაანიდამ (სიღნაღის მაზრაში) გვწერენ, რომ იქაურს სამების ეკკლესიაში, იმ ეკკლესიის დეკანოზის მამა ო. იაშვილისა და ი. მენთეშაშვილის მიერ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულის პოეტის და სასიქადულო მამულიშვილის თავ. მამია გურიელის სულის მოსახსენებლადაო. პანაშვიდს ქვემო-მაჩხაანისა და ახლო-მახლო სოფლების ახალგაზდობა—ქალი და ვაჟი—დაესწროო, გვწერს კორესპონდენტი.

*** ოთხშაბათს, 14 მარიამობისთთვეს, ანტონ გრიგოლის ძე რუბინშტეინი გამოეთხოვა ჩვენს ქალაქს და ნაშუადღევის მატარებლით ბათუმისაკენ გაემგზავრა. ბ-ნი რუბინშტეინი საზღვარ გარედ მიემგზავრება, და, როგორც ამბობენ, იქ დიდხანს დარჩება საცხოვრებლადაო.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ჩვენის ქალაქის ქუჩებში ხშირად გაისმის სამხედრო მუსიკის ხმა და სამხედრო სიმღერები: ჯარები იყრიან თავს ტფილისის ახლო-მახლო ადგილებში, რომ აქედამ იმ თთვის პირველს რიცხვებში ალლუმებს შეუდგნენ.

*** გუშინ, ამ თთვის 15, ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის დირექტორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტროინიცკი, რომელიც მთავრობის მიერ არის გამოგზავნილი აქ ცხენების აღსაწერად.

*** სპარსეთის ელჩი მირზა რიზახანი ამ თთვის 15 ტფილისში დაბრუნდა ბათუმიდამ.

*** ამას წინად ვიღაცა სამოდუროვს თავის ცხენისაგან ქოთაო გადაედო. სამოდუროვი საქალაქო სამკურნალოში გაგზავნეს მოსარჩენად და ცხენი-კი პოლიციამ მოჰკლა. საბრალო სამოდუროვი უკვე გარდაიცვალა.

*** ამ თთვის 15 ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე 614 ვერსზე კონდუქტორი ბუდრეინი ვაგონების აივანზე ასვლის დროს ჩამოვარდნილა და მატარებელს ქვეშ მოჰყოლია. მატარებელს შუაზე გადაუჭრია.

*** ახალ-სენაკი (სამეგრელო): თითქმის თთვე ნახევარია, რაც ჩვენსკენ დღე გამოშვებით სწვიმს. ამ ავდრების გამო ზოგიერთი სოფელი ძალიან დააზარალა მდ. ტეხურმა, რომელმაც ჭალებში ნათესი ყანები სულ ერთიანად წალეკა. ვინ მოსთვლის, თუ სად რა ხიდები და რა წისქვილები გააფუჭა... 10 ამ თთვისას, ნაშუადღევის ოთხს საათზედ, ცა ღრუბლებით მოიფინა და დაიწყო საშინელი ელვა-ქუხილით კოკისპირული წვიმა. მთელი ჩვენი მიდამო თითქმის ზღვის მორევს დაემსგავსა და ერთი მეტად სამწუხარო ამბავიც დაგვმართა: ცამ ძალზედ დაიჭექა. ამ დაჰექების დროს სოფ. ძონძირის მცხოვრებს დედაკაცს სახლში მჯდომს, სახლის სანათურიდგან წამოსული მეხი დაეცა და იმ წამსვე სული გაფრთხობინა საწყალს...

*** დ. ძველი-სენაკი (სამეგრელო): ძველი-სენაკის ბაზრობაზე კლავინდებურად ხალხი მოსული იყო ჩვენის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან, მაგრამ ამისდა მიუხედავად წრევანდელისთანა უფერულს ვაჭრობას დიდი ხანია რაც არ მოვსწრებივართ. მიზეზი ამისა მგონია ქესატობა უნდა იყოს. სავაჭროდ მოსულს ვაჭრებს ჯერჯერობით თავიანთი საქონელი ხელ-მიუკარებელი აქვთ... სხედან გულხელ დაკრეფილები და ან ბუზებსა სთვლიან, ან ბანქოს თამაშობით ირთობენ თავს...

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა) თერთმეტს ამ თთვისას, დილით, ქვედა-აჭარის უფროსმა, რომელსაც თავისი საქმეთ მწარმოებელი და რამდენიმე ცხენოსანი ახლდა, სიცოცხლე მოუსპო სახელ-განთქმულს ავაზაკს შერიფა-ბასო-ოღლის. ამ ავაზაკს ქუთაისის ოლქის სასამართლომ მიუსაჯა სამუდამოდ კატორგა და, სანამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში შევიდოდა, ავაზაკი ბათუმის საპყრობილეში იჯდა, საიდგანაც გაიქცა წარსულს წელს და ეს ნახევარი წელიწადია, ერთს ვაივაგლახს აყენებდა მშვიდობიანს მცხოვრებლებს. ვინ მოსთვლის, რა და რა საქმე არ ჩაუდენია ამ მოუსვენარს ავაზაკს: კაცის კვლა და ძარცვა მის...

## ფელეტონი

### ათაბაგნი ბექა და აღბუღა
და
მათი სამართალი

(შემდეგი. იხ. „ივერია" № 161)

რასაკვირველია, ხშირად მოხდება ისეთი დანაშაული თუ საქმე, რომელიც, მოჩივარსა და მეპასუხეს გარდა, სხვამ არავინ იცოდეს. აგრეთვე შეიძლება თვით საქმის გარემოება გარეშე კაცის მოფიცრობას და მოწმობას არ საჭიროებდეს. ამ ორსავე შემთხვევაში ფიცი ვალად სდევს თვით მოჩივარსა და მეპასუხეს. რომელმა უნდა ფიცოს—ეს საქმეზეა დამოკიდებული. აქ მხოლოდ ისაა საჭირო, რომ უფიცოდ სამართლის დადება არ შეიძლება. რად აქვს ფიცს ასეთი ძალა?—ამის პასუხი ფიცის პირვანდელს თვისებაშია. ძველად ფიცი ღვთის მიერი სამართლის ქმნა იყო (ordal, судъ божій) და სარწმუნოებიდგან მომდინარეობდა. შიში და ელდა დასტრიალებდა თავზე მოფიცარსა და ღვთის რისხვას უქადიდა ფიცის შემლახველს. იგი ფიცის შელახვა ღვთაების განრისხებას შეადგენდა და უხილავს სასჯელს უმზადებდა დამნაშავესა. და თუ რა ღრმა მნიშვნელობა და მკვიდრი საფუძველი ჰქონია ფიცს, ამას ისტორია ამტკიცებს: ყველა „ორდალი" მოისპო დ მხოლოდ ფიცი-ღა არსებობს[269]). ფიცს ძალა არ დაჰკლებია მაშინაცკი, როცა სამართალი ღვთიურის შთამოებისა აღარაა და საქაო ცხოვრებას უფრო ეტრფის, ვიდრე ზეციურსა. რომში, მაგ., მოჩივარს ფიცი უნდა მიეღო—მართალს ვჩივიო, მოსამართლეებსაც ჯერ უნდა დაეფიცათ და მერე შესდგომოდნენ ბჭობას და ყველა ეს მაშინ, როცა სამართალი მაღალს წერტილზე იდგა![270])... იქ ფიცი თავის თავის განკითხვას მოასწავებდა და უფიცოდ კაცს არ შეეძლო, რაიმე საზოგადოებრივი საქმე ეტვირთა[271]), ფიცის მგმობელს ყველა ერიდებოდა, როგორც შეჩვენებულსა და უწმინდურს არსებას. საქართველოშიაც ფიცს დიდი ძალა ჰქონდა და სამართლის დადება ფიცს ვერა გზით ვერ წაუვიდოდა[272]). ასე იყო საათაბაგოშიც: „ფიცი ულონოთა წესიაო" (მუხ. პვ), ამბობს აღბუღა და ეს „ულონობა"-კი ნამდვილად დიდს ღონესა და ძალას ნიშნავდა. ფიცისთვის მაშინ უნდა მიემართა, როცა სხვა საშუალება და სხვა ღონე აღარსად იყო და „ულონობაც" ამას ერქვა...

საათაბაგოშიც ფიცის მიღება ხან მოჩივარს ედვა ვალად და ხან მეპასუხესა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნიშნობლივ ერთს მხარეს უნდა დაეფიცა, სახელდობრ იმას, ვისაც საქმის ვითარება და გარემოება ავალებდა. მაგრამ მოიპოვებოდა ბევრი ისეთი საქმეც, რომლის გამო ფიცი მოჩივარსაც შეეძლო და მეპასუხესაც,—სამართალი არა ბძანებდა, უეჭველად ამან უნდა დაიფიცოსო. მაშასადამე, ფიცი ორად განიყოფებოდა—ერთმხროვან და ორ-მხროვან ფიცად. როდის იყო საჭირო ერთ-მხროვანი ფიცი?—ათაბაგი რამდენსამე საქმეს აღნიშნავს და აწესებს, მხოლოდ ერთმა მხარემ, სახელდობრ, დამნაშავემ უნდა ფიცოსო. ასე იყო, მაგ., მკვდრის გაძარცვის შესახებ. სისხლის გარდა მკვდრის გამძარცველს თორმეტი ათასი თეთრი სხვა უნდა გადეხადა, მაგრამ, თუ მკვდარიგამძარცველის მტერი იყო, მაშინ დამნაშავეს მტრობა ფიცით უნდა ეღიარებინა და ნაკლებს აზღვევინებდნენ—„თუ ფიცოს, ხუთი ათასი თეთრი მართებსო" (მუხ. რით, რკ). როცა ვისმეს შეჰყივლებდნენ—ამის ცოლსა ჰყვარობო, „ფიცოს არაზედა, თუ არ ფიცოს, სისხლი ზღოსო" (მუხ. რკა). უნდა ეფიცა ენა-ჰარტალა გარეშე კაცსაც, რომელიც სხვას ეტყოდა—„ეს კაცი შენს ცოლს ასე უზამსო": „ან ფიცოს, ან მართლა გატესო" *) (მუხ. რმვ). ქმარს ნება ჰქონდა დასნეულებულს ცოლს გაჰყროდა. რასაკვირველია, კაცს შეეძლო უბრალოდ ხელზე დაეხვია ვითომდა დასნეულება და ცოლი სიძულილის გამო გაეგდო. ამის ასაცილებლად ფიცი იყო საჭირო: „თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომ სიძულილითა არა გაყროდესო" (მუხ. რმა). ერთის სიტყვით, ბევრს შემთხვევაში ფიცი მხოლოდ მეპასუხეს უნდა ეტვირთა დ ასეთი წინასწარ აღნიშნულ ფიცის მიღება საქმის ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ძველ ევროპიელთა სამართალიც ამ გზას ადგა და საბუთად გერმანელების, კელტებისა და სლავიანების დასახელებაც კმარა[273]).

უეჭველია, ზოგჯერ მხოლოდ მეპასუხეს უნდა ეფიცნა და ასეთი ერთ-მხროვანი ფიციც საქმის ვითარებისაგან წარმოსდგებოდა. აღბუღა ამბობს, მაგ., მარტო მოჩივარმა მაშინ უნდა ფიცოს, როცა ღალატით წანაღების რაოდენობა საცილობელიაო. ეგრედ წოდებულს მინდობილს მოღალატეს, სისხლს გარდა, წანაღებიც უნდა დაებრუნებინა—„რაცა სასაქონლო რაგინდა-გვარი წაღლოს"... მაგრამ როცა რაოდენობაზე კამათობა ასტყდებოდა, მეპასუხემ ისა ზღოს, „რაცა მემამულემან ფიცით გამოაჩინოს და მსგავსიერი თქვას, არა მოდებულიო" (მუხ. ლდ). საათაბაგოში იცოდნენ ერთმანეთის გაუპატიურება, ე. ი. ხელით შეურაცხება, რომელსაც ზედ მოსდევდა ქონების წაღება, ყმების გალახვა. როცა იგი უბედურება აზნაურს დაატყდებოდა და დამნაშავესაც პატრონი ჰყავდა, თუ პატრონმა ყურადღება არ მიაქციოს დანაშაულს, „არ გაუვლინოს და არცა-რა უსაბიოს", მაშინ ნაწყენმა, ე. ი. მოჩივარმა ფიცოს და ფიცის ქვეშ გარდაახდევინოს ზარალიო (მუხ. ლვ). მხოლოდ მოჩივარს უნდა მიეღო ფიცი მაშინაც, როცა მპარავს ნაპარევი ცხენი თუ რაგინდარა „ხელთ არ აქვნდესო" (მუხ. ჲგ) და სხ... მოჩივარის

[269]) Совр. Об. и Др. Зак. II. 269—79.
[270]) Карль Майнцъ, 94—5, 106.
[271]) Іерингъ, 144—51, 235, 237.
[272]) Совр. Об. и Др. Зак. II. 294. პირველ საბუთად ვახტანგს ფიცი მიაჩნია, მუხ. ვ.

*) გატეხა—признаніе. გრძნეულობის (чародѣйство) დასამტკიცებლად მარტო გატეხა იყო საჭირო, მუხ რმზ. გატეხას მხოლოდ წარმატებული სამართალი ჰხმარობს. ამიტომ ოსებს იგი არ მოეპოვებათ, Совр. Об. и Др. Зак. II. 223—7.
[273]) ibid. 295.

თვის ლხინი იყო. ხშირად იჭერდა ხოლმე სოფელში პატარა ყმაწვილებს, გაიყვანდა ტყეში და მამებს უთვლიდა, ფულები გამოგზავნეთ, თუ გინდათ, რომ შვილი დაგიბრუნოთო; ამ ხერხით სძარცვავდა ხალხსა. სოფელში ხმა გამოვიდა, რომ თოფიდგან განასროლს ტყვიას ხელით იჭერსო, რადგან ბევრჯელ თავს დასცემიან, მაგრამ ვერც დაუჭრიათ და ვერც მოუკლავთ.

ამ ავაზაკის სიკვდილმა დიდად სასიამოვნო ამბავი აუწყა მთელს ბათუმის, ართვინისა და არტაჰანის მხარეს, რომელთაც ბევრი ზარალი ჰქონდათ ხსენებულის ვაჟბატონისაგან.

*** სოფ. სუჯუნა. (სენაკის მაზრა) „ივერიის“ მე-169 №-რის მოწერილს წერილში ნაამბობი იყო ამბავი იმ ქართულის წარმოდგენის შესახებ, რომელიც დ. აბაშაში გაიმართა. ამ წარმოდგენის გამართვისთვის შრომა დასდო მთელმა ამხანაგობამ, რომელშიაც ათამდე მონაწილეა. ამხანაგობამ გარდასწყვიტა ქართულის წარმოდგენების გამართვა აბაშასა და სუჯუნაში იმ საჯარო წიგნთსაცავის სასარგებლოდ, რომელიც აბაშაში უნდა დაარსდეს. წარმოდგენა გაიმართა პირველად აბაშაში. წარმოადგინეს ვოდევილი „ბაიყუში“. რევაზის როლს ასრულებდა თავ. ს. მიქელაძე, ელისაბედისას—ქ-ნი ნ. ჩიქოანი, თალიკოსას—თავ. დ. მიქელაძის ქალი—ეკატერინე, კოტესას—ბ-ნი კ. ჭანტურაია და გასპარასას—ვ. ელიავა. სცენის მოწყობა, ამხანაგობამ მიანდო ბ-ნს შომახიას.

იგივე „ბაიყუში“ წარმოადგინეს დ. სუჯუნაში აბაშის იმავე საჯარო წიგნთსაცავის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნით აბაშის ბოქაულს თავ. ვლ. აბაშიძეს, მეაფთიაქეს ბ-ნს ვ. კოჩინევს, გიგო დიდიას, რომელმაც სათეატრო სახლი უფასოდ დაგვითმო და დ. აბაშის მოვაჭრეს კ. ნადარაიშვილს, რომელმაც ყველა სცენის მოწყობილობა უფასოდ გვათხოვა.

*** სოფ. ქვემო-მაჩხაანი (სიღნ. მაზრ). 11 მარიამობისთვეს ჩვენის სკოლის დარბაზში ქართული წარმოდგენა გამართეს სატეხნიკო სასწავლებლის ერთის შეუძლო შეგირდის სასარგებლოდ. წარმოადგინეს თავ. რ. ერისთავის ორ-მოქმედებანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“ და მისისავე “ადვოკატები“-დგან ერთი მოქმედება.

ამ ზაფხულში ჩვენს სოფელში ეს მესამედ იმართება ქართული წარმოდგენა და სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ამ მესამე წარმოდგენამ ცუდი ზედმოქმედება იქონია მაყურებლებზე, რადგან წარმომდგენლებმა სრულიად არ იცოდნენ თავიანთი სათქმელი; ამას ისიც დაუმატეთ, რომ სცენაზე მუდამ უადგილო სიცილი და ერთმანეთს შორის ლაპარაკი ბევრი იყო.

შემოსავალი ხარჯს გარეშე დარჩა 19 მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცემა. უფასოდაც დაესწრო ზოგიერთი სოფლელი ამ წარმოდგენას.

*** იქიდამვე. მაჩხაანის წიგნთ-საცავს დაეხმარნენ წიგნების შემოწირვით: შ. ქუჩუკაშვილი, ნ. ალნიაშვილი, გ. შოშიაშვილი, დ. ზარაფიშვილი, თ. კევლიშვილი; დურგალმა ა. ინაშვილმა უსასყიდლოდ გააკეთა წიგნთ-საცავისათვის წიგნების დასაწყობი.

საზოგადოება შემომწირველთ გულითადს მადლობას უძღვნის.

*** იქურდამირი. ჩვენში ყვავილი გაჩნდა და უკვე რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

*** სოფ. თეკლათი (სამეგრელო): წასრულ თთვის უკანასკნელს რიცხვებში სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწემ ბ-ნმა ვა—ლმა საყოველთაო კრება მოახდინა თეკლათის საზოგადოებაში, რათა კრებას დაესახელებინა ქურდები და საზოგადოების მავნებელი კაცები. თუ რამდენად საინტერესო იყო ეს კრება ყველასათვის, ამას სხვათა შორის ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ კრებაზე თითქმის 700 კაცზე მეტი დაესწრო. ბ-ნმა ვა—ლმა ხალხს მოკლე და ძმურის სიტყვით მიჰმართა და ნათლად დაუხატა, თუ რა და რა ავკაცობას და ბოროტებას სჩადიან თქვენში ღამის რაინდებიო. აი, მე მსურს, რომ თქვენში ბოროტება მოისპოს, ცუდის კაცობის ხსენება არ იყოსო. კარგად იცით, ვინც არის თქვენში ბოროტის მომქმედი, მაგრამ ზოგს მეზობლობით, ზოგს შიშის გამო ჰფარავთ და ვერ ამხელთ... ახლა-კი უნდა მითხრათ, თუ გინდათ მყუდრო და მოსვენებული ცხოვრება... ხალხმა ხან იქით იგრიალა და ხან აქეთ და შემდეგ ერთი ქურდი დაასახელა. ბოლოს ბ-ნმა ვა—ლმა გამოუცხადა, რადგანაც სხვას აღარავის ასახელებთ ქურდად, იცოდეთ, თუ დაიკარგა რამ ამ საზოგადოებაში, დანაკარგი თქვენ უნდა უზღოთ პატრონსაო, და ხალხიც დაიშალა.

*** 15 აგვისტოს, ღამით, ციციანოვის აღმართიდგან კიდევ მოსკდა კლდე და ოც ფუთამდე ქვა ჩამოვარდა. უბედურება არა მოუხდენია-რა. ეს ამბავი ქალაქის გამგეობას აცნობეს, რომ ღონე რამ იღონოს უბედურების თავიდგან ასაცილებლად.

*** ამავე დღეს, პოლიციის მესამე ნაწილში სანდრო ნაზარბეგოვი ჩაის სასმელს დუქანში წაეჩხუბა საათ ბენიამინ-ოღლის და დანით დასჭრა გვერდში. დამნაშავე შეიპყრეს.

*** 14 აგვისტოს თავ. ალექსანდრე შალიკაშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სიონში ჯიბიდგან ამოაცალეს 70 მან. ფულად, 30 მან. ბარათი და ქალაქის გამსესხებელ კასის გირავნობის ფურცლებიო.

*** 13 ამ თთვისას ტივზე მძინარე ალექსი ზაქაროვს რომ ქამარ-საათი მოჰპარეს, პოლიციამ დამნაშავენი უკვე იპოვნა. ქურდნი არიან ნიკოლოზ ქავთარაძე, მიხეილ ხუციშვილი და პაშა მამუკოვი. დანაკარგიდგან საათი თავისის ძეწკვით იპოვნეს, ხოლო ქამარი და მასრები ოქრომჭედლის გიორგი მისერელიშვილისათვის მიუყიდნიათ და იმას ვერცხლად გადაუდნია. დამნაშავენი ყველანი შეპყრობილნი არიან.

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამდროოთ ამოცანები)

—

სხვას ბევრს სჯობს საგნის არჩევით
საწერად, მოსათხრობელად,
ოღონდ ძვირად სწერს და თუ სწერს-
არც მარტო გასართობელად,
ფიქრი და აზრი მართალი მიუძღვის
ცხად-საცნობელად,
რიტორებასა არ ხმარობს ძნელ კი-
თხვათ მოსადნობელად,
ოცნებას არ სდევს—საქმე უჩნს, თვით
საქმე ხელ-საყოფელად,
მწვავსა გრძნობასა ნამდვილსა ჰყავს
ლალადისად, მბჭობელად,
საამო ენის, ქართულის, გვწადს,
იყოს უფრო მფლობელად,
ახლის და ძველის შემდარად, შემა-
ზმად, შემაწყობელად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. დიდ-ჯიხაიში (ქვემო იმერ.) რამდენიმე წელიწადია მას აქედ, რაც მონდომილი ვართ, რომ ქურდობა და ავ-კაცობა შევამციროთ და მოვსპოთ. ბევრჯელ შევკრებილვართ მოსალაპარაკებლად ამ საქმეზედ, ბევრი ქურდობის საწინააღმდეგო ღონისძიებები შემოვიღეთ: გვყავდნენ ხევის-თავები, ღამის დარაჯები და სხვა, მაგრამ ქურდობას საშველი არ მიეცა-რა ჩვენში; გარეშე ქურდებს ვინ დაეძებს, რომ ქურდები სახლში არ გაგვჩენოდნენ. რა-კი ვერაფერმა ღონისძიებამ ვერ გვიშველა, ყველას თავი დავანებეთ და ეს ორი წელიწადია ღვთის ანაბარაზედ ვართ და ჩვენი თავი და ცხოვრება ქურდების სვინიდისს მივანდეთ. წარსულის წლის ანგარიშიდგან სჩანს, რომ ჩვენს სოფელს ქურდობიდგან ზარალი ჰქონია ორი ათას მანეთამდე; წელს მგონი ამას აღემატება და თუ თავი არ შევიტკივეთ, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე მოგვივა. ჩვენი სოფელი საქებურ სოფლად ირიცხება აქამომდე, ახლა-კი უნდა ვაღიაროთ, რომ ცუდი სახელი და ჩირქი დაგვცხეს ქურდებმა და თუ კიდევ რამდენიმე ხანი გავიდა ასე, მალე სალანძღავად და თითის საჩვენებლად გავხდებით. ვგრძნობთ ჩვენ ამ მდგომარეობას და ჩვენის მხრით ვხმარობთ ყოველს საშუალებას, თუ მთავრობამაც მოგვაქცია ყურადღება. ხშირად მომხდარა, რომ წარგვიდგენია ვინმე შენიშნული კაცი, იმ კაცის სახელი და გვარი მხოლოდ დავთარში ჩაწერილა და თვითონ ისევ მობრძანებულა შინ და განუგრძია თავისი ხელობა, მაგრამ ახლა იმედი გვაქვს, რომ საქმე აღარ ჩაივლის ძველებურად და ბოლო კარგი მოყვება. ამ საქმის თაობაზედ გვქონდა ყრილობა 30 ივნისს. ამ ყრილობაზედ მოვილაპარაკეთ, რომ ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ ჩვენ სოფლიდგან ქურდ-ბაცაცების გაძევებისთვის. ყველა გავიძახოდით, არ დავზოგოთ, გადავკარგოთ და მოვიშოროთ ქურდებიო, მაგრამ, თაგვების არაკისა არ იყოს, იმ დღეს ჩვენც ისე მოგვივიდა. ესეც არ ყოფილიყო, თავად-აზნაურობაც განზედ გაგვიდგა ამ საქმეში და ძმურად ხელი არ მოგვცა. მიზეზი ამისა რაც იყო, არ არის ძნელი გამოსაცნობი...

ასე თუ ისე იმ დღეს ყრილობა დაგვეშალა და საქმეს კარგი საძირკველი ვერ ჩავუგდეთ. გვქონდა ყრილობა კიდევ ამ საქმეზედ 7 ივლისს,

---

ფიციც საზოგადო ჩვეულებაა, იგი ევროპიელებმაც იცოდნენ და ჩვენს დროს მთაშია დარჩენილი [274]).

როცა საბჭო საქმე საცილობელი იყო, ე. ი. არც მოჩივარს და არც მეპასუხეს საკმაო საბუთი არ ჰქონდა, მაშინ სურვილისამებრ ან ერთი მხარე ფიცავდა და ან მეორე. ასეთს ფიცს ორ-მხროვანს იმიტომ ვუწოდებთ, რომ სამართალი არ აწესებდა, უეჭველად და მიუცილებლად ამა და ამ მხარემ—ფიცოსო. ძველად ევროპაში ცოტა სხვაფრივ ყოფილა. იქ, როცა საეჭვო საქმე აღმოჩნდებოდა და არც ერთს მხარეს არ შეეძლო, სამყოფი დამტკიცება წარედგინა, თვით ბჭენი ადგენდნენ—აი ამან ფიცოსო. საათაბაგოში ბჭეებს ამ შემთხვევაში არა ეკითხოდათ-რა და აღბუღა გადაჭრით ამბობს: თუ ერთმა მხარემ ვერ შეფიცოს, მეორემ დაიფიცოსო. მაშასადამე, ერთსა და იმავე საქმეში ფიცის მიღება მოჩივრისა და მეპასუხის ნებაზე ეკიდა. და აი ამის მაგალითებიც. როცა ვისმეს ნაპარევი გამოაჩნდებოდა და პატრონი დავას დაიწყებდა, მაგ ნაპარევთან სხვა რამეც დამეკარგა—„სხვა რამ წამიხდაო“, მეპასუხეს „ორითა უმტეროთა კაცითა“ უნდა დაეფიცა, სხვა რამესი არა ვიცი-რაო და გამართლდებოდა. მაგრამ, „თუ ეს ვერ შეფიცოს, მან საქონლის პატრონმან დაიფიცოსო“ (მუხ. ჲდ). ასე იყო მაშინაც, როცა „ქარავანსა ქურდათ თავსა ზედა დასხმასა შიგან წახდომილი იცნას კაცმა“. ვისაც „წახდომილს“ უპოვნიდნენ, იმას უნდა დაეფიცა, ქურდი არა ვარო—„ქურდად არა ყოფილიყოს“ და მაშინ მარტო ნაპოვნს „წახდომილს“ გამოართმევდნენ—„თავის მეტს არ ემართლებისო“. ხოლო, თუ „ვერ შეფიცოს, რასაც წახდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზღოსო“. უკეთუ აღმოჩნდებოდა, რომ „წახდომილის“ მქონე „თავადად იგი კაცი ყოფილიყოს და თავლაშქარი *) ყოფილიყოს“, პატრონმა „რაცა მისი ალაფისაგან ფიცით მინახვედრები თქვას, იგიცა უზღოს უკლებლადო“ (მუხ. ჲვ). თუმცა საზოგადოდ პარვის საქმეში ერთმხროვანი ფიცი იყო საჭირო, მაგრამ როცა კერძოდ ნაპარევს ცხენზე დაიწყებოდა საჩივარი, მაშინ ორმხროვანს ფიცს მისდევდნენ (მუხ. ჲზ).

მოფიცარისგან მოწამე განსხვავდება და ფიცისაგან—მოწმობა. ძველად უფიცო მოწმობა თითქმის სრულიად არ იცოდნენ. ცხადია, თუ რატომ. იმ დროს ფიცს აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და საგვარეულო წეს-წყობილება გარეშე კაცს მოწმად არ ნდობულობს. ან ვინ იქნება ისეთი თავხედი, რომ სხვის გვარს უმოწმოს და შურის-ძიებას მისცეს თავისი თავი და თავისი გვარეულობა? თითო-ოროლა შემთხვევაში თუ შეიძლება უფიცო მოწამე და ისიც მაშინ, როცა მოწამე მოჩივარის ან მეპასუხის მეყვისია [275]). მაგრამ როცა ერი საგვარეულო ცხოვრებას სტოვებს და წარმატების გზას ადგება, მაშინ სამართლის ტაძარი გარეშე კაცისათვისაც ღიაა,—ყველას უფლება აქვს ამ საერთო ტაძარში მოწმობა აღიაროს... სწორედ ასეთი იყო თემიდას ტაძარი ათინაში. დიდად აფასებდნენ ათინელები მოწმის სიტყვას და დიდს ჯარიმასაც ახდევინებდნენ, თუ იგი არ მივიდოდა ბჭობადჯდომაზე—ოღონდ-კი მოდი და თუნდ ნურაფერს იტყვიო... და როცა მოწამე ბაგეთა თვისთა აღაღებდა, ჩვენება ქაღალდზე უნდა დაეწერა და აქტუარიუსისათვის წარედგინა [276]). რომშიც, რასაკვირველია, მოწამეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, ისევ რესპუბლიკის დროს მოჩივარსა და მეპასუხეს სამართალი ავალებდა, მოწმები მოიყვანეთო [277]).

თავდაპირველად იქ მოწმე შემწე იყო: თუ საჭიროება მოითხოვდა, მოწმე მკლავითა და ღონით უნდა დაჰხმარებოდა თავისს მიმყვანსა [278]). ამ მკლავისა და ღონის ვარჯიში ადვილად წარმოსადგენელი სურათია, მაგრამ გასაკიცხი-კი არაა. თუ ძველად ასე ყოფილა და ეხლაც აგრეა ზოგიერთს ალაგას, მაგ., კავკასიის მთებში, ამის მიზეზი შურის-ძიებაა: ყველგან მოწამემ ნელ-ნელა გაიკვლია გზა და ეს, იქნება, მკლავითა და ღონითაც მოხდა [279]). ძველს დროს ქართველები მაგრე რიგად პატივს არ სდებდნენ მოწამეს,—„მოწამე დიაღ სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა... მაგრამ აქ, ქართლში, უფრო არ განუწესებიათო, მოგვითხრობს ვახტანგი (მუხ. იგ.). ცხადია, რად „არ განუწესებიათ“: ვახტანგის წინად როს ქართული სამართალი ძველს მიმართულებას მისდევდა და იგი მიმართულება კიდევ მოწამეს არა სწყალობს და მოფიცარს უფრო ენდობა. ეგრე იყო საათაბაგოშიც. აღბუღა თითქო ძუნწობს და მოწამეს ორიოდე ადგილას იხსენიებს. სად და როდის?—არსებობდა ერთგვარი ჩვეულება, რომელსაც შუადმოსვლა ერქვა. შუადმოსრული „მეომართ“ გამოშველებელი იყო და „ომი“ აწინდებურად ჩხუბს ნიშნავდა. სამართალი ამბობს, შუადმოსრული შეიძლება მონოზანი და ხუცის დიაციც იყოსო. შუადმოსრულის წმინდა მოვალეობას გაშველება შეადგენდა, მაგრამ, როგორც ეხლაა, მაშინაც შუადმოსრული „თვით მეომარი“ შეიქნებოდა ხოლმე. რატომაც არა, როცა ქართველს ასე უყვარს მახვილისა და მკლავის ტრიალი?! როცა შუადმოსრულს მეომარს მოჰკლავდნენ, სისხლი არ ეურვებოდა, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ მართალს მოწამეს უნდა ეთქვა—მოკლული მეომრობდაო,—„თუ მეომარი ყოფილიყოს და მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდახდეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფაო“ (მუხ. იზ) და ძაღლის ყეფა ხომ არაფერია... სხვა შემთხვევაში ერთად მოწმობაც იყო საჭირო და ფიციცა. ეს მაშინ, როცა „კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტური *) არ იცოდესო“. დაწამებულს, „უბრალოდ გაწბილებულს“ სამართალი უბძანებდა, შეგიძლიან ფიციც მიიღო და მოწამეც მოიყვანოო და „თუ არც ფიცი დაუუროს და არცა მოწამესა უყუროს“, ესა და ეს გარდახდეს დამწამებელსაო (მუხ. პზ). ერთის სიტყვით, საათაბაგოზედაც ის ითქმის, რაც საზოგადოდ საქართველოზე—„მოწამე უფრო არ განუწესებიათ“... აღბუღა აღნიშნავს ერთს

[274]) *Совр. Об. и Др. Зак. II. 378, 387—9.*

*) თავლაშქარი—*начальникъ шайки.* ჩვენ სამი ხელთ-ნაწერი სამართალი გვაქვს და ყველგან „თავლაშქარი“-ს მაგიერ შეცდომით სწერია „თვალშაქარი“.

[275]) *Совр. Об. и др. Зак. II. 341—44.*
[276]) *Беко, 29.*
[277]) *Карлъ Майнцъ, 92 и 334.*

[278]) *Р. Iерингъ, 121—300.*
[279]) *Зак. и Об. ка Кав. II. 27.*

*) დასტური—დაჯერებული, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზედაც მოწვეული გვყავდა ბოქაული და დაესწრო კიდეც. ამ ყრილობაზედ დიდი თავ-გამოდებული და მონდომილი ვიყავით, რომ რაიმე პირველი და უკანასკნელი საშუალება მოგვეპოვებია. ბატ. ბოქაულიც დაგვეხმარა ამ საქმეზედ, მით რომ ყრილობაში გამოაცხადა გუბერნატორის ახალი განკარგულება და თან დასძინა, რომ ჩვენამდე ხმა მოვიდა, თქვენ სოფელში უნდა ინახავდენ აბრაგებსაო; თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, იძულებული ვიქნები მოვიწვიო 50 ყაზახი რუსი დარაჯებად, რომლის შენახვა თქვენ დაგაწვებათ თავზედაო. გლეხები ყოველთვის თავგამოდებული ვიყავით და ამ გამხნევებამ უფრო გული გაგვიმაგრა, მხოლოდ თავად-აზნაურნი ახლაც განზედ გაგვიდგნენ. ბევრის ლაპარაკისა და ყაყანის შემდეგ ბ-მა ბოქაულმა თავად-აზნაურობას ცალკე ჩამოართვა ჩვენება, რომელიც ჩვენთვის დღემდე დაფარულია. გლეხებმა-კი არ დავფარეთ შენიშნული და ქურდი კაცები და დავასახელეთ, ვინც რამდენჯერმე ყოფილა შენიშნული და ზოგი მათგანი პოლიციასაც ჰყოლია ჩაწერილი თავისს დავთარში; განაჩენზედ მოვაწერეთ ხელი ყველამ და წარვუდგინეთ ბოქაულს, რათა იმან გვიშუამდგომლოს და წარადგინოს, სადაც ჯერ არს. ამ შენიშნულებმა არ იციან, რა ქნან და ვის მიმართონ. მათის საქმის დაჩქარება ძლიერ საჭიროა, თორემ უბედურება კარზედ გვადგია. ვინ იცის, რას არ იქმენ ამ ბოლოს ხანს: სწორედ მშიერ მგლებსავით გვიცქერიან.

მოსავალს ჩვენსკენ კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით, თუ ალმოსავლეთის ქარმა არ გაგვინადგურა. ვენახს ისე ასხია წელს ჩვენში, რომ დიდი ხანია ასეთი მობმული ვენახი არ გვახსოვს. ამინდებიც კარგი გვიდგა: შუა თიბათვიდგან აქამდე ძლიერ გრილა და სიცხე იშვიათია.

გარეშე გლეხი

## რუსეთი

„Нов. Вр.“ იუწყება, ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, რომ საზღვარ გარეთიდგან რუსეთში შემოტანილს ხილზე გარდასახადი მოუმატონო.

— „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, მოსკოვის ფრანგული გამოფენა ამ წლის გიორგობისთვის პირველამდე გასტანსო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს ახალი საზოგადო დებულება სასოფლო სამეურნეო გამოფენათა მართვისა რუსეთის იმპერიაში. სადაც-კი სამეურნეო გამოფენა გაიმართება, იქ უთუოდ კრებაც უნდა მოხდეს სოფლის მეურნეთა.

— ვარშავის უნივერსიტეტი წრეულს მხოლოდ იმდენს კაცს მიიღებს ებრაელთაგან სტუდენტებად, რომ 10%-ს არ გადააჭარბოს შემსვლელთა საერთო რიცხვისას. უნივერსიტეტში შემსვლელს ებრაელს უთუოდ ან წრეულს ან შარშან უნდა ჰქონდეს გიმნაზიის კურსი დამთავრებული და საერთო ნიშანი საგნების ცოდნისა შარშანდელს კურს დამთავრებულს 4-ზე მეტი უნდა ეწეროს, ხოლო წრევანდელს კურს დამთავრებულს-კი არა ნაკლებ 4-სა. სხვა სამოსწავლო ოლქის გიმნაზიაში კურს-დამთავრებული ებრაელი ვარშავის უნივერსიტეტში მიიღება მხოლოდ ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით.

— გაზაფხულზე ქალაქს ელეცში შემდეგი ამბავი მომხდარა. ვაჭარს ს—ს და იმის სახლის კაცს ადიუტანტს დუელში გაუთხოვიათ ერთმანეთი. მიზეზი ამ დუელისა ისა ყოფილა, რომ ადიუტანტს ვაჭრის ცოლის შეყვარება ჰბრალდებოდა თურმე. გასულან დუელში, მაგრამ საქმე კარგად, უხიფათოდ გათავებულა, რადგანაც ვაჭარს სროლა არა სცოდნია და ადიუტანტსაც აუღია და ჰაერში გაუსროლია თოფი თუ რევოლვერი. დუელი სასაცილო ყოფილა, მაგრამ შედეგი-კი სამწუხარო მოჰყოლია. ვაჭრის ცოლს, რაკი სახელი გასტეხია, აუღია და ვორონეჟში გადასახლებულა. მოდუელენი, რასაკვირველია, სამართალში მიუციათ. საქმე სასამართლოს ამ დღეებში გაურჩევია და იმ დროსთვის ვაჭრის ცოლიც ვორონეჟიდგან ელეცში მისულა. მოდუელეთათვის სამ-სამის დღით დაპატიმრება გადაუწყვეტიათ და იმათაც აინუნში არ ჩაუგდიათ ეს სასჯელი, ხოლო სახელ-გატეხილს ქალს-კი სულ სხვანაირად მოჰხვედრია გულს ეს ამბავი: 13 ივნისს მშვენიერად ჩაცმულ-მორთულა, აუღია რევოლვერი და დაუკრავს თავის მოსაკლავად. ტყვიას ძლიერ დაუჭრია და მკურნალებს იმედი აღარა აქვთ ქალის მორჩენისა.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

„ივერიის“ 159 №-ში იყო დაბეჭდილი ამბავი, რომელიც მე გადამხდა. რადგანაც ეს ამბავი გადასხვაფერებულათ მიმაჩნია, უმორჩილესად გთხოვთ მისცედ ადგილი ამ ჩემს წერილს, რომლის დაბეჭდვას საჭიროდ ვრაცხ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად *).

21-ს ივლისს მე და სამი სხვა სტუდენტი მივდიოდით ტფილისიდან დაბა ონში. ნაქერალას მთას რომ გადავედით და დავადექით ვაკე გზას, რომელიც გაკვანილია დიდ ტყეში, გავაჭენეთ ცხენები. ჩემმა ცხენმა დაშორებოდ გაუსწრო ჩემ მომგზავრების ცხენებს და მე კაი მანძილზედ წინ მივდიოდი.— ერთბაშად ტყიდგან გამოვარდა კაცი და დამიმიზნა თოფი. ამის წინად გელათში პრისტავებმა გვითხრეს, რომ ავაზაკებს ზრები გეეცარცვათ და გადაკირგულიყვნენ. რასაკვირველია, მე ეს ტყიდგან გამოვარდნილი, გამჯელებული კაცი ავაზაკად მივიღე და გავაჩქარე ცხენი. როცა გავცდი ამ კაცს, იმან ორჯერ მამძახა: სჯობს გაჩერდეო და, რა-კი დაინახა, რომ მე ცხენს მიუშვი თავი და უმეტესად გავრბივარ, დაიწყო ყვირილი: „არ გაუშვად, დაიჭირეთ.“ მოვშორდი თუ არა ერთ ოცოდე საჟენზედ, გამოვარდა ტყიდგან სხვა და პირდაპირ ცხენის დაყენებას მიპირებდა, მაგრამ ცხენი ვახსალე; ის მიწაზედ დაეცა და მე გავაჩქარე ცხენი. ამ გზით მე რამდენჯერმე მეგლო და ვიცოდი, რომ იქ ახლო დუქანი იყო. დავაჩქარე ცხენს, მეგონა ამ დუქანში მაინც მოვისვენებ მეთქი, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, მივასწრე თუ არა დუქანს, გამოვიდა იქიდან სანჯალამოღებული ზერიკაცი და დაჩეხას მიპირობდა. ეხლა-კი დავრწმუნდი, რო ჩემთვის შველა არსად იყო, რო ეს ნადუქნარი სახლი სავსე იყო ავაზაკებით და გარბივ ცხენიდან ჩამოვხტომა. მე კვითხე ამ ზერიკაცს, რა უნდათ ჩემგან, რისთვის დამდევენ თოფებით და ამასთანავე დავარწმუნე, რომ მე პრისტავი არა ვარ—მით სამზნელად არ დავდივარ. ჩქარა მოცვივდნენ სხვა ორნიც და შეიქნა ყვირილი. ამ ყვირილში გამოვიდა მედუქნე, რომელმაც დაარწმუნა ეს გაფეთებული quasi—ავაზაკნი. ყვირილის დროს ერთმა ურჩია მეორეს, ბილეთი ჩემგან მოეთხოვნა და მაშინ მე მივხვდი, რო ესენი ავაზაკნი არ იყვნენ. ამის უკან, რასაკვირველია, მე გამოვკითხე მათ, ვინ იყვნენ. მიპასუხეს, რო ისინი ხევისთავები არიან და ნება აქვთ, რო გამვლელი კაცი არ გაუშონ, თუ ბილეთს არ აჩვენებს, „აქ საშინელი ავაზაკობააო“. მოკლე ხანში ეს ხევისთავები დამშვიდნენ და, რა გაიგეს, ჩემი ვინაობა, ბოდიში მოითხოვეს. ამ ხანში ჩემი ამხანაგებიც ჩამოვიდნენ. კიდევ კარგი, რო ჩემი რევოლვერი ცხენების პატრონს მოჰქონდა, თვარემ თან რომ მქონოდა, რასაკვირველია, ან ვისმეს მათგანს მოვკლავდი, ან არა-და ისინი მე.

ეს ტრაგი-კომედია იმის გამო მოხდა, რომ მე ვერაფრით ვერ შავიტყე, რომ ისინი დაყენებულნი ყარაულნი იყვნენ.

სტუდენტი გძელიშვილი.

ქ. თბილისი 2 აგვისტოს.

*) ვბეჭდავთ ამ ამბავს ავტორის თხოვნისამებრ სიტყვა-სიტყვით და გაუსწორებლად, თუმცა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს ამბავსა და ამას შორის განსხვავება არაფერია შინაარსით.

რედ.

### II

რკინის გზაზე მოსამსახურე ქართველთა საყურადღებოდ.

როგორც გაზეთები ჰღაღადებენ, ამ მოკლე ხანში, ე. ი. შემოდგომაზე გადმოასვენებენ ჩვენს დიდებულს პოეტს თ. ნიკოლოზ ბარათაშვილს განჯიდგან ტფილისში. ამ დაუვიწყარის პოეტის გადმოსასვენებლად დიდი მზადება აქვთ იმის ნიჭის თაყვანისმცემლებს და ჰსურთ ეხლა მაინც ამ ორმოც და ხუთის წლის მიცვალებულს სცენ ღირსეული პატივი. ფულებსაც-კი აგროვებენ იმის სახელზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ, გვირგვინებსაც ამზადებენ იმის კუბოს დასამშვენებლად და დეპუტაციაც სდგება იმის გადმოსვენებაზე დასასწრებლად და პატივის საცემლად.

ჩვენს ძვირფასს პოეტს გადმოასვენებენ რკინის გზით, რომელზედაც ჩვენ, მცირეოდენი ქართველობა, ვმსახურებთ და ნუ თუ ჩვენც არ გვეკუთვნის, რომ პატივი ვცეთ რითიმე დიდებულს პოეტს, ქართველს ლერმონტოვს? არ იქნება ურიგო, რომ ჩვენც გამოვიღოთ ცოტაოდენი წვლილი, ამოვირჩიოთ წარმომადგენელი, ვუგზავნოთ მას ფული და გადავავალოთ დაესწროს განჯის რკინის გზის სადგურზე თ. ნ. ბარათაშვილის გადმოსვენების დროს და შეამკოს პოეტის კუბო ჩვენის გვირგვინით. ხოლო გვირგვინის ხარჯს გარდა რაც ფული დარჩება, ის უნდა მიემატოს ბარათაშვილის სახელობაზე დაარსებულს ფონდს. მე ჩემის მხრით დავასახელებ ჩვენდა წარმომადგენელად რკინის გზაზე მოსამსახურეს ბ-ნს აქსენტი ცაგარელს, რომელიც, იმედია, უარს არ იტყვის.

განსაკუთრებულს წესსაც, რომელსაც ლაშქრობის დროს მისდევდნენ. უკეთუ დავა და ცილობა დაიწყებოდა“ ომსა შიგან ხელთა დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა“, აბჯრისა და ცხენის „ნაკრავი“ უნდა გაესინჯათ და „რასაცა აბჯარსა ზედა რომლისა ნაკრავი აჩნდეს და ანუ ცხენსა, მას მართებს“, იმას ეკუთვნისო. მაგრამ მარტო „ნაკრავის“ გასინჯვა არ კმაროდა—„იგი დარჩომილი კაციცა გაიკითხონ ფიცითაო“ (მუხ. ქბ).

არის ისეთი საბჭო საქმე, რომელიც მეცნიერსაც უნდა ეკითხოს და სამართალი ისრე დაედოს. მეცნიერი საქმის მცოდნეა, განსწავლული სპეციალისტია. როგორც გუჯრებში სჩანს, ძველადვე საეკკლესიო და სამონასტრო საქმის ბჭობაზე მეცნიერთაც იწვევდნენ [280]). ალბუღაც ამას აწესებს. საათაბაგოში იცოდნენ „სასაფლაოსა ზედა დასხმა და საფლავთა ხელის მიყოფა“. თუ ბიწიერი და უკეთური მარჯვენა, საფლავს გარდა, სასაფლაო ეკკლესიასაც პატივს აჰყრიდა „ანუ წარმართულად კარისა შელეწითა, ანუ სხვაგნით რითიმე შერღვევით“, მაშინ ჩვეულებრივი ბჭობადჯდომა არ კმაროდა და არც სამართალში ეწერა, დამნაშავეს ეს გარდახდესო—„შეკვეთით არა ითქმოდა-რა“. საჭირონი იყვნენ „მეცნიერნი და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულნი“ (მუხ. კვ), რომელთაც მსჯავრი უნდა დაედგინათ. ზოგჯერ საზოგადო სასჯელს გარდა, მსჯავრს ეპისკოპოზიც სდებდა. მაგ., ძმისა და ახლო მეყვისის მკვლელს ორკეცი სისხლი გარდახდეს ჹ გარდიხვეწოსო, მაგრამ ეს არ კმაროდა—„ეპისკოპოსმა იმის წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს“ (მუხ. კგ).

[280]) Церков. гуджари, 120—1.

ფიცისა და მოწმობის შემდეგ სასაქმო წიგნი ჩნდება. რასაკვირველია, იგი წიგნი არსდება, როცა ცხოვრება მოქალაქეობას იძენს და სამართალი წარმატების გზას ადგია. თავდაპირველად სასაქმო წიგნს ცოტა მცირე ძალა ჰქონია, ვიდრე შემდეგში: დამწერმა და ხელის დამრთველ მოწმებმა ფიცს ქვეშ უნდა აღიარონ სასაქმო წიგნის სინამდვილე და უამისოდ წერილობითს საბუთს მნიშვნელობა არა აქვსო [281]). რომშიც სწორედ ასრე ყოფილა,—tabellio-ს ფიცით უნდა დაემტკიცებინა, „დოკუმენტი“ ნამდვილიაო და სახელმწიფოც ყურადღებას აქცევდა სასაქმო წიგნის შედგენას [282]). ძველად საქართველოშიაც სასაქმო წიგნს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას, სხვათაშორის, ისიც ამტკიცებს, რომ ეხლაც საქართველო სავსეა სხვა-და-სხვა სასაქმო წიგნებით და თვითოეულს მათგანს საკუთარი სახელი ეწოდება. საკმაოა მარტო ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი გადაფურცლოთ, სიტყვა წერილი წაიკითხოთ და დაინახავთ, თუ რა მრავალგვარი ყოფილა სასაქმო წიგნი [283]). და რას ნიშნავს ეს მრავალგვარობა?—ყოველს შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის განვითარებას. იგი განვითარება არც საათაბაგოს აკლდა და აქაა მიზეზი, რომ ალბუღა ჯეროვანს ფასსა სდებს სასაქმო წიგნსა, თუმცა-კი არ უჩვენებს მრავალგვარს სახელ-წოდებას. ალბუღა ამბობს, სასაქმო წიგნი ორად განიყოფება და სხვა-და-სხვაობა დამოკიდებულია, როგორც გარეგნობასა და ფორმაზე, ისრე წიგნის საგანსა და შინაარსზედაო. ეგრედ წოდებული პატრონისაგან მიცემული, ნაბოძები სასაქმო წიგნი საპატიო კაცთა და მონოზანთა მიერ „ხელჩართული“ უნდა ყოფილიყო და თუ ხელი არ ეწერა, რასაკვირველია, არც ძალა ჰქონდა. ასეთს წიგნს ათაბაგი საზოგადო “რაგინდა სასაქმო და საჭიროებისათვის“ ნაბოძებს არქმევს და ეს სახელი ხომ ზოგადია. მაშასადამე, რაგინდარა სასაქმო წიგნი მრავალგვარის შინაარსისა იყო და თუ განსხვავდებოდა, მარტო იმით, რომ პატრონს უნდა ებოძნა და ხელმოწერილი ყოფილიყო საპატიოთა კაცთა და მონოზანთაგან. მოხსენებული არაა, თუ როგორ და რა ფორმით უნდა დაეწერათ ამ გვარი წიგნი, მაგრამ განმარტება არც საჭიროა: ზოგადი სასაქმო წიგნი ნიშნობლივს ფორმასა და გარეგნობას არ მისდევს,—ყველა ეს გარემოებაზეა დამოკიდებული. უფრო საჭიროა ესრეთის წიგნის მომავალი ბედი, გაუქმება, ანუ ათაბაგის სიტყვით, გაცუდება და აი სწორედ ამას აღნიშნავს ალბუღა: თუ პატრონმა მერმე სხვა წიგნი უბოძა, „იგი უკანის გაუცუდებს მას პირველსაო“, ე. ი. უკანა წიგნი წინას გააბათილებსო. ამ შემთხვევაში ერთი პირობა იყო საჭირო, სახელდობრ ისა, რომ პატრონს მალვით და ხელჩაურთველად არ უნდა ებოძნა უკანა წიგნი: „თუ მალვით და ქვეჟამით მიეცეს და არცა ვისი ხელი ერთოს, იგი ცუდია და პირველივე უმტკიცე იქნებისო“. ზოგადს გარდა, ალბუღა კერძო სასაქმო წიგნსაც იხსენიებს და ასეთს წიგნს ნაზავებს *) უწოდებს. თვით სახელწოდება ამტკიცებს, თუ რას ნიშნავდა ნაზავები წიგნი და როდის იხმარებოდა. ზავი გარიგებაა და „შუათა პირითა“ იდება. ნაზავები წიგნიც ზავის გამო უნდა დაეწერათ—„თუ კაცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი“ და, უეჭველია „შუათა პირითა“, შუაკაცების სიტყვით შეედგინათ. ათაბაგი ამბობს, „ნაზავები წიგნი“ არ მოიშლების უკანის (ქვეჟამით მოცემულის), ანუ სარგებლის დახედმისათვის ან ძალის შოებისათვისო“ (მუხ. ჲა). ამ წიგნისთვის არც საპატიოთა კაცთა და მონოზანთა ხელჩართვა იყო საჭირო და ამითიც განსხვავდებოდა ნაზავები პატრონისაგან ნაბოძებ სასაქმო წიგნისაგან.

საათაბაგოში სხვა-და-სხვა გვარი გარიგება გახშირებული იყო და ნაზავებს წიგნსაც ხშირად ხმარობდნენ. რამდენიმე მაგალითიც კმარა. როცა გლეხი გლეხს თავდებად დაუდგებოდა, ხელის უფალს ან ბატონს „ხელი ჩაართვევინოს“ და თუ წიგნს „ხელი არ ერთოს“ „ვერ დაუდგებაო“ (მუხ. ჲთ) წიგნით თავდებობა საჭირო იყო დიდებულისა და აზნაურთათვისაც—„რასაც ზედა უდგეს უზლოს სათავდებო, რაცა ეწეროს“ (მუხ. ო). თუ გლეხი მამულს ვისმე მიჰყიდდა, წიგნზე პატრონს ხელი უნდა მოეწერა (მუხ. ოზ). ზედ-სიძედ შესვლა უწიგნოდაც შეიძლება და წიგნითაცაო (მუხ. რნჰ, რნთ) და სხ.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[281]) Совр. Об. и Зак. II. 151—4.
[282]) Карлъ Маинцъ, Стр. 185.

[283]) ლექსიკონი, გვ. 378, სიტყვა წ ე რ ი ლ ი. საქართველოს ისტორია ვახუშტისა, გვ. 8—9 და შენიშვნა I.

*) ზავი—გარიგებისათვის, ს. ს. ორბელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წერილთან ვგზავნი „ივერიის“ რედაქციაში ორს მანეთს და, თუ ბ-ნმა ა. ცაგარელმა იკისროს წარმომადგენლობა, გთხოვთ გვირგვინის ფული იმას გარდასცეთ; თუ არა და მაშინ ეს ფული მიუმატეთ თ. ნ. ბარათაშვილის ფონდს.

ვასილ მასხულია

1891 წ. 3 აგვისტოს. სადგ. ტყიბული.

## III

აგერ ხუთი თთვე იქნება, რაც ერთმა ხაშურში რკინის გზის მოსამსახურემ გაჰმართა ხელის მოწერა აწ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ძეგლის ფონდის სასარგებლოდ; ხაშურის ქართველობამ ხელი მოუწერა და ფულიც გადავეცით, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცით ფული გადასცა დანიშნულებისამებრ თუ არა. კარგი იქნება თქვენის გაზეთის საშუალებით შეგვატყობინონ, რა დაემართა ამ საქმეს და რამ დააბრკოლა ფულის გადაცემა?

ერთი ხელის მომწერთაგანი

## IV

გიგზავნით ოცს მანეთს და გთხოვთ, ეს ფული აწ უკვე გარდაცვალებულის ჩვენის სასიქადულო პოეტის თ. მამია გურიელის ძეგლის ასაგებად გადასდოთ. თუ ვინიცობაა, ჩვენი ქართველობა და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნია არ მოისურვებს ძეგლის აგებას, იმ შემთხვევაში გთხოვთ ეს ფული მოახმაროთ მისის ნაწერების გამოცემას.

ქუთაისის მაზრის სოფ. გეგუთის მცხოვრები ონისიმე სიმონის ძე მდივანი

# დეპეშა

14 აგვისტო

**პეტერბურგი.** დღეს დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლისა, შვილებისა და ამალითურთ საზღვარ გარედ გაემგზავრა. მათი უმაღლესობანი ბერლინზე მიდიან, იქიდგან გელსმზანდტში გაივლიან და დიდს ჰერცოგს მეკლენბურგ-ერიშელს ინახულებენ; ხოლო უავგუსტოესნი შვილნი მიდიან პარიჟში, სადაც უავგუსტოესს მშობლებს დაუცდიან. პარიჟიდგან მათი უმაღლესობანი სან-სებასტიანში გაემგზავრებიან ზღვის წყალში საბანაოდ.

**ლონდონი.** ჩილიში ურთიერთს შორის ომის საქმე ეხლა ამ გვარადაა: არც ერთის მხრის ჯარი არ აპირობს სატევ ომის დაწყებას. დღეს მთელი დღე ნელი სროლა ჰქონდათ; უთუოდ აჯანყებულებმა გადასწყვიტეს, რომ ახლა სხვა ნაირად იმოქმედონ და შიდა ადგილებს წავლენ, რომ უკეთესი ადგილები დაიჭირონ, საიდგანაც შესაძლებელი იქნება, პირ-და-პირ სატახტო ქალაქზე მივიდნენ იერიშით და საიმისოდაც არ დაზარალდნენ. ომი ამ დღეებში მოუხდებათ. ჰფიქრობენ, პრეზიდენტი ბოლმასედა ეცდება, აჯანყებულთ უკან დასაბრუნებული გზა შეუკრას, და სატევს ომს დაიწყებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 80 | 7, 84 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 | 157 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 12 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დამიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

## ბორჯომის მამულების გამგეობა

მოიწვევს მსურველს, აიღოს თევზის ჭერის იჯარა ტაბაწყურის ტბაში. სიტყვიერად და წერილობით პირობათა განცხადება შეიძლება მხოლოდ ამ წლის 15 ენკენისთვემდე.

დაწვრილებით პირობათ შეტყობა შეიძლება ყოველდღე მამულების კანტორაში. (3—106—1)

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიებ ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | “ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |


## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

ახალთ-ახალი

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საამნაურო

სუნელ. წყალი

ზამბახისა
სპარსეთის იასამანისა
თეთრის იასამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. 5—მ—4

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 16 მარტის მე-59 №-ში.

## იბეჭდება და გამოვა სექტემბრის დამლევში

ვალერიან გუნიას-მიერ

შედგენილი და გამოცემული

1892 წლისათვის

**საქართველოს კალენდარი** (დასურათებული მრავალის სურათებით) ფასი ორი აბაზი

**უბის წიგნი 1892 წლისათვის** (მშვენიერის ყდით და ყარანდაშით) ფასი ორი აბაზი

**სახალხო კალენდარი** (ყოველნაირის საჭირო ცნობებით მდაბიო ხალხისათვის) ფასი ორი შაური

„საქართველოს კალენდარში“ ღებულობენ დასაბეჭდად ყოველ გვარს განცხადებას. ფასი წიგნის ბოლოში-გვერდი—5 მ. ნახევარ გვერდი—3 მ., მეოთხედი გვერდი—2 მან. წიგნის დასაწყისში გვერდი—12 მ. ნახევარ გვერდი 7 მან.

ვინც კალენდრისათვის მასალის გამოგზავნას ინებებს, შეუძლიან, მიჰმართოს ვალერიან გუნიას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, მანსვეტოვის სტამბას, ანუ წერა-კითხვის წიგნის მაღაზიას. (5—0—4)

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—13)

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

## ქართული პიესები

თხზულება

**ალალო თუთაევისა.**

ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

**„უშნო არშიყი“**, კომედია სამ მოქმედებად.

**„სოფიო“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

**„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში

კავკავში—ი. ტერტეროვთან.

ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.

სიღნაღში—კ. ნადიროვთან.

თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.

გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.

ცხინვალში—ი. მელქუოვთან.

„ თ. კ. მ. ციციანოვთან.

სურამში—ზ. არუწოვთან.

ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ქუთაისს—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.

ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.

ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.

სოხუმში—ან. ჯულელთან.

ფასი. 30 კაპ.

(15—12)


Дозв. ценз. Тифлисъ, 16-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.